სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

24 დეკემბერი 2025

N 805/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში შპს „ბლექ სი რიზორთ“-ის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბლექ სი რიზორთ“-ის მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის 10.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბუკნარში, შპს „ბლექ სი რიზორთ“-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 20.46.06.455; ფართობი 7818 მ^2) მშენებარე სასტუმრო კომპლექსის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ამავე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ფართობი: 132,5 მ^2; GPS კოორდინატები: X-229040.1528 Y-4627596.3996; X-229041.6864 Y-4627596.1876; X-229044.0333 Y-4627590.8944; X-229043.8622 Y-4627589.6561; X-229043.6568 Y-4627588.1703; X-229042.9311 Y-4627582.9202; X-229042.6641 Y-4627580.9886; X-229041.3364 Y-4627577.7303; X-229038.6407 Y-4627576.2024; X-229037.3779 Y-4627576.3502; X-229035.3930 Y-4627578.5518; X-229034.8583 Y-4627582.0675; X-229035.1253 Y-4627583.9991; X-229035.8510 Y-4627589.2492; X-229036.0564 Y-4627590.7351; X-229036.2275 Y-4627591.9733) გათვალისწინებულია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიას დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო ზოლი ესაზღვრება, ხოლო ჩრდილოეთით, დაახლოებით 58 მეტრში – უახლოესი საცხოვრებელი სახლი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოეწყობა „Biotop“-ის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა (მიწისქვეშა ტექნიკური გადაწყვეტით). საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის წარმადობა 85 მ^3/დღ-ს შეადგენს, ხოლო მშენებარე სასტუმრო კომპლექსის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების რაოდენობა – 83,2 მ^3/დღ-ს. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობილობები 2 ერთეული ჰორიზონტალური რეზერვუარისაგან შედგება. აღნიშნული რეზერვუარების წინ განთავსდება 1400 მმ დიამეტრის ჭა შესაბამისი ცხაურით, ხოლო ჭიდან გამოსასვლელზე – 1400 მმ დიამეტრის ფილტრი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო გამწმენდ ნაგებობაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი ეფექტურად აერთიანებს მექანიკურ, ბიოლოგიურ და ფიზიკურ-ქიმურ წმენდას. კერძოდ, საწყის ეტაპზე ჩამდინარე წყლები მსხვილი ნარჩენებისგან მექანიკურად გაიწმინდება, რის შემდგომაც გაივლის ბიოლოგიური წმენდის პროცესს და ბოლოო ეტაპზე ულტრაიისფერი ნათურით გაიწმინდება. გაწმენდის

შემდგომ ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: ჟბმ – 25 მგ/02ლ; ჟქმ – 125 მგ/02ლ; PH – 6,5-8,5 მგ/ლ; საერთო აზოტი – 15 მგ/ლ; საერთო ფოსფორი – 2 მგ/ლ; შეწონილი ნაწილაკები – 60 მგ/ლ; ცხიმები – 5 მგ/ლ. გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყლები დაახლოებით 35 მეტრი სიგრძის და 160 მმ დიამეტრის მიწისქვეშა მილით ჩაშვებული იქნება საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამავალ ღელეში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X-229069.0062 Y-4627617.7364).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს არ საჭიროებს და მხოლოდ შესაბამისი ტექნოლოგიური ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირებას და გამოყოფილ ადგილებზე დამონტაჟებას გულისხმობს. დაგეგმილი სამუშაოების პროცესში ხე-მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება გათვალისწინებული არ არის, ხოლო ექსკავირებული გრუნტი უკუყრისთვის იქნება გამოყენებული. მოწყობის სამუშაოები ექსკავატორის, ამწის, ბულდოზერის, ასევე სატკეპნის გამოყენებით შესრულდება და დაახლოებით 4 თვის განმავლობაში გაგრძელდება, რაც სამუშაოების სპეციფიკისა და მასშტაბიდან გამომდინარე, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს ჰერმეტულ კონსტრუქციას და დახურულ სისტემაში ფუნქციონირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამართულად ოპერირების პირობებში, მისი ექსპლუატაცია არასასიამოვნო სუნის და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ უკავშირდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო (ნარჩენის კოდი – 17 05 03*; ნარჩენის დასახელება – ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს; ნარჩენის რაოდენობა – 5-10 კგ/წელ) და არასახიფათო (ნარჩენის კოდი – 20 03 01; ნარჩენის დასახელება – შერეული მუნიციპალური ნარჩენები; ნარჩენის რაოდენობა – 20 $მ^3$/წელ) ნარჩენების წარმოქმნა. სახიფათო ნარჩენი, შემდგომი მართვის მიზნით, აღნიშნული სახეობის ნარჩენის მართვაზე სათანადო უფლებამოსილების მქონე კომპანიას (შპს „სანიტარი“) გადაეცემა, ხოლო არასახიფათო ნარჩენის გატანა მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ადგილობრივ მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო ნარჩენების (ნარჩენის კოდი – 20 03 01; ნარჩენის დასახელება – შერეული მუნიციპალური ნარჩენები; ნარჩენის რაოდენობა – 10-20 $მ^3$/წელ; ნარჩენის კოდი - 19 08 05; ნარჩენის დასახელება – ურბანულ/დასახლებულ პუნქტებში ჩამდინარე წყლების გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნალექები; ნარჩენის რაოდენობა – 60-108 $მ^3$/წელ) წარმოქმნა. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენები გატანილი იქნება ხელშეკრულების საფუძველზე და განთავსდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში მშენებარე სასტუმრო კომპლექსის ტერიტორიაზეა დაგეგმილი.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მასშტაბის და მახასიათებლების გათვალისწინებით, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში შპს „ბლექ სი რიზორთ“-ის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს გზშ-ს;**
2. შპს „ბლექ სი რიზორთ“ ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბლექ სი რიზორთ“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბლექ სი რიზორთ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/805-21-4-202512240945

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE